

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
რექტორის 2019 წლის „6“ მაისის N86 ბრძანების

დანართი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში
დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები და რეგულირების სფერო.....	4
1. ზოგადი დებულებები.....	4
თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	4
2. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	4
3. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება	5
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	6
5. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	7
თავი III. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა	8
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება.....	8
7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	9
8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა	9
თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები და აკადემიური რეგულაციები	10
9. სტუდენტის უფლება-მოვალეობები.....	10
10. აკადემიური რეგულაციები	10
თავი V. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სწავლის საფასური.....	11
11. ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	12
12. სწავლების საფასური	12
თავი VI. სასწავლო პროცესი	13
13. სწავლების ენა.....	13
14. აკადემიური წელი	14
15. სტუდენტის დატვირთვა.....	14
16. სტუდენტის შეფასების წესი	14
17. დამატებითი სემესტრი/ტრიმესტრი.....	15
თავი VII. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	15
18. განმარტებები	15
19. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	16
20. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.....	16
21. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების შესაბამისი ადაპტირებული გარემო	17
22. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სწავლების რეჟიმი და გადახდის წესი	18
თავი VIII. კრედიტების აღიარება, კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი	18

23.	სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ან/და სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარება	19
24.	კვალიფიკაციის მინიჭება.....	20
25.	დიპლომი	20
თავი IX. დასკვნითი დებულებანი		20

თავი I. ზოგადი დებულებები და რეგულირების სფერო

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“) სწავლების ძირითადი მიზანია შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის რეალიზება, რაც მიიღწევა:
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა მიერ;
 - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსებით;
 - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მრავალკომპონენტური სისტემის დანერგვით და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საერთო სისტემის გამოყენებით;
 - ხარისხის სისტემის მუდმივი სრულყოფით;
 - სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგით, განახლება და სრულყოფით.
- 1.2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი (შემდგომში ტექსტში - „მარეგულირებელი წესი“ ან „წესი“) არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურულ საკითხებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, საზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების დებულებებს, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის პროცედურებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- 1.3. წესი შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული ყველა მონაწილისათვის.

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 2.1. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- 2.2. საბაკალავრო პროგრამაზე პირი ჩაირიცხება მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაცვით.
- 2.3. ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში, აბიტურიენტი შესაბამის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);
 - ფოტოსურათი (3X4);
 - უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ.
- 2.4. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება რექტორის ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი იმ აბიტურიენტთა სიის საფუძველზე, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ მოიპოვეს სწავლის

უფლება. სტუდენტთა სტატუსის მინიჭების შემდეგ დება სტუდენტთა რეიტინგი ერთიანი ეროვნული გამოცდების საკონკურსო ქულების გათვალისწინებით.

- 2.5. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 3.1. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, რაც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდებსა და სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდებს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად;
- 3.2. სამაგისტრო პროგრამაზე პირი ჩაირიცხება მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების დაცვით.
- 3.3. სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, წინამდებარე წესის დაცვით, ჩარიცხვისთვის მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა – სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე განსაზღვრული ტესტის შესაბამისი ტიპი, გადალახოს დაწესებულების მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის შესაბამისი ტესტის ნაწილისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ასეთის არარსებობისას გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 3.4. სასწავლო უნივერსიტეტი მაგისტრანტობის კანდიდატთა სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აწესებს შემდეგ გამოცდებს სპეციალობაში:
- ა) წერიტი გამოცდა;
 - ბ) ინტერვიუება. ინტერვიუებას საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულაში კოეფიციენტი არ ენიჭება.
- 3.5. სპეციალობის გამოცდების მიზანია დაადგინოს მაგისტრანტობის კანდიდატის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სპეციალობაში, რათა მან წარმატებით შეძლოს შეთავაზებული სამაგისტრო პროგრამის დამლევა.
- 3.6. შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდებზე დაშვების მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა.
- 3.7. მაგისტრანტობის კანდიდატმა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დასადასტურებლად და სპეციალობის გამოცდაზე დაშვების პირობის დასაკმაყოფილებლად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სერტიფიკატებიდან ერთ–ერთი:
- ა) TOEFL (არანაკლებ 72 ქულა);
 - ბ) IELTS (არანაკლებ 5.5);
 - გ) FCE (B2 დონე);
- 3.8. წინამდებარე წესის 3.7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატს ეძლევა უფლება ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა სასწავლო უნივერსიტეტში.
- 3.9. რექტორის ბრძანებით დგინდება:
- ა) უცხო ენაში ტესტირებისათვის და სპეციალობის წერიტი გამოცდისთვის რეგისტრაციის ვადები. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს რეგისტრაციის თაობაზე ბრძანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;
 - ბ) უცხო ენაში ტესტირების თარიღი;
 - გ) შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის წერიტი გამოცდისა და ინტერვიუების თარიღები;
 - დ) ინტერვიუებისთვის საგამოცდო კომისიის შემადგენლობა;
 - ე) ინტერვიუების თემები და კრიტერიუმები;

- ვ) ინგლისური ენისა და სპეციალობის წერითი გამოცდების ფორმატი, კომპონენტები, თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა და ტესტირების ხანგრძლივობა
- 3.10. გარდა 3.7 პუნქტით გათალისწინებული შემთხვევისა, ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე დადასტურებული იქნება თუ მაგისტრანტობის კანდიდატი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ინგლისური ენის გამოცდაში მიიღებს 72 ქულას და მეტს.
- 3.11. სპეციალობის გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატი დაიშვება თუ ის აკმაყოფილებს 3.7 ან 3.10 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.
- 3.12. სპეციალობის წერითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სტუდენტი მიიღებს მაქსიმალური ქულის 51% ან მეტს;
- 3.13. სპეციალობის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი გადის ინტერვიუების ეტაპს.
- 3.14. ინტერვიუებაზე მაგისტრანტობის კანდიდატი დაიშვება თუ ის აკმაყოფილებს 3.13 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნას.
- 3.15. ინტერვიუების ეტაპს მაგისტრანტობის კანდიდატი გადის საგამოცდო კომისიის წინაშე, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული თემებისა და კრიტერიუმების მიხედვით.
- 3.16. საგამოცდო კომისია იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრანტობის კანდიდატის სამაგისტრო პროგრამაზე (მაგისტრატურაში) ჩასარიცხად წარდგენის შესახებ.
- 3.17. ინტერვიუების ეტაპის შემდეგ დგება მაგისტრანტობის კანდიდატების რეიტინგული სია საერთო სამაგისტრო გამოცდის, შიდასაუნივერსიტეტო სპეციალობის წერითი გამოცდის შედეგებისა და 3.3 პუნქტით დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით.
- 3.18. სპეციალობის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სასწავლებლის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში, მაგისტრანტობის კანდიდატი შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი/დიპლომის ასლი;
 - გ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);
 - დ) ფოტოსურათი (3X4);
 - ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დიპლომის ნამდვილობის შესახებ;
- 3.19. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.
- 3.20. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება**
- 4.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსი მიენიჭება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 4.2. სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი (ჩარიცხვის კანდიდატი) განცხადებით მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტს, რასაც თან უნდა ერთვოდეს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული ნოტარიულად.
- 4.3. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ჩარიცხვის კანდიდატს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/აღიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება.

- 4.4. ჩარიცხვის კანდიდატის მიერ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ.
- 4.5. ინფორმაცია კრედიტების აღიარების თაობაზე ეცნობება ჩარიცხვის კანდიდატს კრედიტების აღიარების დოკუმენტის სახით.
- 4.6. საბუთების განხილვისა და ჩარიცხვის კანდიდატის მიერ დადასტურებული კრედიტების აღიარების დოკუმენტის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) საფუძველზე ჩარიცხვის კანდიდატი გადის გასაუბრებას სკოლის საბჭოს/რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე.
- 4.7. გასაუბრების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება მისი სასწავლებელში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და სასწავლო უნივერსიტეტი გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად.
- 4.8. სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება რექტორის ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

5. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 5.1. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.2. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
- 5.3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელიც არის დაწესებულების სტუდენტი, მაგრამ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 5.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 5.5. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის საფუძველია გასაუბრება/ტესტირება/გამოცდა/გამოცდები.
- 5.6. მობილობით სტუდენტთა მიღება ცხადდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ბრძანებით დგინდება:
- ა) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი;
 - ბ) მობილობისთვის ვაკანტური ადგილების რაოდენობა;
 - გ) მობილობისთვის განაცხადების რეგისტრაციისა და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;
 - დ) თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მობილობის საფუძველი (გასაუბრება/ტესტირება/გამოცდა/გამოცდები) და ჩატარების ვადები;
 - ე) ტესტის/გამოცდის ფორმატი, მისი კომპონენტები, თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა და ტესტირების ხანგრძლივობა;
 - ვ) ტესტირება/გამოცდა/გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 5.7. ტესტირება/გამოცდა/გამოცდები ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სტუდენტი გადალახავს რექტორის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.
- 5.8. მობილობისთვის სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) პირადი განცხადება;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);

- ე) ფოტოსურათი (3X4);
 - ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში ცნობა დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ;
 - ზ) აკადემიური მოსწრების ბარათი/ნიშნების ფურცელი;
 - თ) ცნობა სასწავლებლიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ, შესაბამისი ბრძანებების მითითებით;
 - ი) სტუდენტის ჩარიცხვის/სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის/შიდა მობილობის ბრძანებიდან ამონაწერი, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ცნობაში;
 - კ) სასწავლო კურსების მოკლე აღწერები/სილაბუსები მათი წარმოდგენის აუცილებლობის შემთხვევაში.
- 5.9. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვა და სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მობილობის კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ.
- 5.10. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.11. მობილობის კომისიის ან/და სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვისა და განათლების აღიარების თაობაზე ეცნობება სტუდენტს კრედიტების აღიარების დოკუმენტის სახით.
- 5.12. სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება, სტუდენტის მიერ დადასტურებული კრედიტების აღიარების დოკუმენტის და სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.
- 5.13. მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
- ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - ბ) ფინანსური დავალიანება;
 - გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - დ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი ან/და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - ე) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ვ) სტუდენტის მიერ სემესტრის/ტრიმესტრის განმავლობაში შესასწავლ სასწავლო კურსებზე წინამდებარე წესის 17.2 პუნქტით დადგენილი სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობის გამო სასწავლო კურსის/კურსების გაუვლელიობა.
- 6.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 6.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.
- 6.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, სასწავლო უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 7.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
 - საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულება;
 - საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი დამატებითი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში;
 - ეთიკის ნორმების დარღვევა;
 - გარდაცვალება;
 - მობილობის წესით სხვა სასწავლებელში გადასვლა.
- 7.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
- 7.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან;
- 7.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 8.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანებაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტუდენტს ენიჭება აქტიური სტუდენტის სტატუსი.
- 8.2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის არარსებობის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
- 8.3. სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლების სემესტრი/ტრიმესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.
- 8.4. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის სტატუსი შეჩერებულია 6.1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ აკადემიური კალენდრით დადგენილი სემესტრის/ტრიმესტრის მეცადინეობების 50%-ზე ნაკლები რაოდენობის გაცდენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სტუდენტის მიერ გაცდენილი მეცადინეობები აღდგენას არ ექვემდებარება.
- 8.5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტის სასწავლო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით დასაშვებია მხოლოდ იმ სასწავლო კურსების შეფასებების გამოყენება, რომლებშიც სტუდენტს შესრულებული ჰქონდა კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და იყო ფიქსირებული ჰქონდა კურსის საბოლოო შეფასება.
- 8.6. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სტუდენტი სწავლობდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში შეიცვალა ან გაუქმდა, სტუდენტთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიღევად რეჟიმში ან მობილობის პრინციპით პირის ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები ყველაზე მეტად ერთგვაროვანია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც სტუდენტი სწავლობდა.

თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები და აკადემიური რეგულაციები

9. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

- 9.1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი მოქმედებს სასწავლო უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.
- 9.2. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
 - გ) მიიღოს ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე;
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);
 - ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
 - ვ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი.
 - ზ) განახორციელოს შიდა მობილობა;
 - თ) განახორციელოს გარე მობილობა სწავლების ერთი წლის შემდეგ.
- 9.3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
- ა) დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას და შესაბამის სამართლებრივ აქტებს;
 - ბ) დაიცვას სტუდენტის ეთიკის კოდექსი;
 - გ) იცნობდეს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებს/ხელშეკრულებებს და დაიცვას მათი მოთხოვნები ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - დ) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების ან/და სხვა ხელშეკრულებების პირობები; ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების შეჩერების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, ადმინისტრაციული და ფინანსური სანქციების გატარების საფუძველი.
 - ე) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა საგანი, რომლის სწავლება სავალდებულოა; გაიაროს სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა ან/და შეასრულოს საკვალიფიკაციო ნაშრომი ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - ვ) დაიცვას აკადემიური კალენდრით დადგენილი ვადები.

10. აკადემიური რეგულაციები

- 10.1. სასწავლო უნივერსიტეტში მეცადინეობებზე დასწრება სავალდებულოა.
- 10.2. სემესტრის/ტრიმესტრის განმავლობაში კონკრეტულ სასწავლო კურსზე სილაბუსით გაწერილი საკონტაქტო საათების 50% და მეტის ნებისმიერი მიზეზით (საპატიო, არასაპატიო) გაცდენა გამოიწვევს სტუდენტის მიმდინარე სასწავლო კურსიდან მოხსნას და მან საგანი უნდა შეისწავლოს ახლიდან.
- 10.3. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის/ტრიმესტრის განმავლობაში თითოეულ სასწავლო კურსში ადადგინოს მხოლოდ ერთი გაცდენილი (ნებისმიერი მიზეზით) შუალედური შეფასების კომპონენტი. დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს დაუფიქსირდება შეფასება „0 ქულა“ და შესაბამისად ისარგებლებს 16.6.2 ქვეპუნქტით დადგენილი უფლებით.
- 10.4. გაცდენილი შეფასების კომპონენტების აღდგენის თარიღი დგინდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ.
- 10.5. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის, უნივერსიტეტში დანერგულია მოდულარული, ობიექტზე ორიენტირებული დინამიური სასწავლო სისტემა, ე.წ. Moodle.

- 10.6. Moodle სისტემა წარმოადგენს სასწავლო კურსის პედაგოგს, სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის საკომუნიკაციო, ოფიციალურ სისტემას. ადმინისტრაცია და სასწავლო კურსის პედაგოგი არ არის ვალდებული დამატებით მიაწოდოს სტუდენტს იგივე ინფორმაცია.
- 10.7. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს Moodle-ზე განთავსებული ინფორმაცია, მასალები, დავალებები, ნიშნების ფურცელი და ა.შ.
- 10.8. სტუდენტი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი და სასწავლო კურსის პედაგოგის მიერ სისტემა Moodle-ზე განთავსებული დავალების ჩაბარებისთვის დაწესებული ვადები.
- 10.9. სასწავლო კურსის პედაგოგს უფლება აქვს დაგვიანებით მიიღოს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები არაუგვიანეს სილაბუსით გათვალისწინებული დასკვნითი გამოცდის თარიღამდე ერთი კვირით ადრე.
- 10.10. 10.9 პუნქტით განსაზღვრულ დაგვიანებით შესრულებულ დავალებაში სტუდენტს უფორმდება დავალებაში მიღებული ქულის 51%.
- 10.11. შუალედური (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და დასკვნითი გამოცდები რეგულირდება „გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესით“. ამ წესის დაცვა სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.
- 10.12. დასკვნითი გამოცდის განმეორებით ჩაბარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადებში.
- 10.13. სტუდენტის სურვილით სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი.
- 10.14. სასწავლო უნივერსიტეტში ყოველი სემესტრის/ტრიმესტრის დასრულების შემდეგ (აკადემიური კალენდრით დადგენილი „დამატებითი გამოცდების და შედეგების გამოცხადების“ ვადის ამოწურვის შემდეგ) დგინდება ნიშნების სემესტრული/ტრიმესტრული რეიტინგი.
- 10.15. სტუდენტი მონაწილეობას იღებს ნიშნების სემესტრულ/ტრიმესტრულ რეიტინგში თუ ის აღნიშნულ სემესტრში/ტრიმესტრში დარეგისტრირებული იყო და შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სასწავლო კურსი. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების გამო სტუდენტს უკვე გავლი აქვს (წინა სემესტრებში/ტრიმესტრებში) ახალი სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო კურსი/კურსები და მოპოვებული აქვს შესაბამისი კრედიტები.
- 10.16. ნიშნების სემესტრული/ტრიმესტრული რეიტინგი განისაზღვრება სემესტრის/ტრიმესტრის სასწავლო კურსებში (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სასწავლო კურსი) მიღებული პროცენტული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის მიხედვით, ხოლო 10.15 პუნქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში – მიმდინარე (რეიტინგის) სემესტრში/ტრიმესტრში მიღებული ქულების და ახალი სასწავლო გეგმით დადგენილ სასწავლო კურსებში სწავლების წინა პერიოდში (წინა სემესტრებში/ტრიმესტრებში) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით;
- 10.17. ნიშნების რეიტინგი განისაზღვრება აკადემიური კალენდრით დადგენილ ძირითად ვადებში მიღებული შეფასებებით და მასში არ მონაწილეობს აღდენილი შეფასების კომპონენტის და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე მიღებული ქულები.

თავი V. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სწავლის საფასური

11. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

- 11.1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს მიმდინარე სემესტრული/ტრიმესტრული ხელშეკრულების გაფორმებას, რითიც გამოხატავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.
- 11.2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები მტკიცდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
- 11.3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელი შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი.
- 11.4. სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილ მეორე ლექციამდე მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა (აღნიშნულ სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გაუქმება) და გადახდილი თანხის უკან მიღება. სხვა შემთხვევაში იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში/ტრიმესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

12. სწავლების საფასური

- 12.1. საგანმანათლებლო პროგრამის და შესაბამისად 1 ECTS კრედიტის ღირებულება განსაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
- 12.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად/ტრიმესტრულად სემესტრის/ტრიმესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში ან/და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული გრაფიკის თანახმად.
- 12.3. სტუდენტს, რომელიც 12.2 პუნქტში მითითებულ ვადებში არ დაფარავს ფინანსურ დავალიანებას დაებლოკება სისტემა MOODLE და დამატებით ეძლევა ერთკვირიანი ვადა აღნიშნული დავალიანების დასაფარად, რის შემდეგაც უჩერდება სტუდენტის სტატუსი.
- 12.4. სისტემა MOODLE-ის დაბლოკვის შემთხვევაში, დაბლოკვის მოხსნის შემდეგ სტუდენტს არ უფორმდება სისტემის დაბლოკვის პერიოდში მიღებული შეფასებები.
- 12.5. სემესტრულად/ტრიმესტრული გადასახადი დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულების თანაფარდობით სემესტრების/ტრიმესტრების რაოდენობასთან.
- 12.6. წინამდებარე დოკუმენტის 12.5 პუნქტით განსაზღვრული სემესტრული/ტრიმესტრული გადასახადი მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით დადგენილი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში. დამატებითი სემესტრით/ტრიმესტრებით სარგებლობის შემთხვევაში გადასახადი ექვემდებარება ცვლილებას სასწავლო უნივერსიტეტში იმ პერიოდისათვის არსებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 12.7. სტუდენტის სწავლის საფასურის ან მისი ნაწილის ალტერნატიული წყაროდან (სახელმწიფო გრანტი (სამაგისტრო, საბაკალავრო), სპონსორის მიერ დაფინანსება და სხვა) დაფინანსების შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან, სწავლის საფასურის იმ ოდენობით, რა ოდენობის თანხითაც იქნება სტუდენტის სწავლება დაფინანსებული.
- 12.8. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებულ და ალტერნატიული წყაროს მიერ გადმოსარიცხ დაფინანსებას შორის სხვაობის დაფარვის ვალდებულება ეკისრება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 12.9. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წინარეკვიზიტების სისიტემის დაცვის გამო ვერ ახერხებს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სემესტრული/ტრიმესტრული სასწავლო კურსების სრული ოდენობით გავლას, მაშინ მის სემესტრულ/ტრიმესტრულ გადასახადს აკლდება იმ საგნის/საგნების ღირებულება, რომელსაც ის არ შეისწავლის მიმდინარე სემესტრში. სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება 12.12 პუნქტის თანახმად.
- 12.10. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სემესტრული/ტრიმესტრული სასწავლო კურსების სრული ოდენობის გარდა დამატებით შეისწავლის სასწავლო კურსს/კურსებს, მაშინ მის სემესტრულ/ტრიმესტრულ გადასახადს ემატება

- იმ სასწავლო კურსის/კურსების ღირებულება, რომელსაც ის შეისწავლის მიმდინარე სემესტრში. სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება 12.12 პუნქტის თანახმად.
- 12.11. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ რეგისტრირდება მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არცერთ სასწავლო კურსზე და შეისწავლის სხვა სემესტრის/ტრიმესტრის სასწავლო კურსს/კურსებს, მაშინ მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის სწავლის საფასური დგინდება მხოლოდ შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების მიხედვით.
- 12.12. სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება მისი მოცულობისა (ECTS კრედიტის ოდენობის) და კრედიტის ღირებულების ნამრავლით.
- 12.13. სწავლების განსხვავებული საფასური ან / და გადახდის პირობები შესაძლებელია განსაზღვროს რექტორის ბრძანებით.
- 12.14. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მეორე სემესტრი/ტრიმესტრიდან სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა ქვემოთ მოყვანილი ყველა ქვეპუნქტის დაკმაყოფილება:
- ა) დასაფინანსებელ სემესტრში/ტრიმესტრში საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გავლა; გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების გამო სტუდენტს უკვე გავლი აქვს (წინა სემესტრებში/ტრიმესტრებში) ახალი სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო კურსი/კურსები და მოპოვებული აქვს შესაბამისი კრედიტები.
- ბ) აკადემიური კალენდრით დადგენილი წინა სემესტრი/ტრიმესტრის ნიშნების სემესტრულ/ტრიმესტრულ რეიტინგში მონაწილეობა;
- 12.15. საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი პირველ სემესტრი/ტრიმესტრში სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა ქვემოთ მოყვანილი ყველა ქვეპუნქტის დაკმაყოფილება:
- ა) დასაფინანსებელ სემესტრში/ტრიმესტრში საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გავლა; გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების გამო სტუდენტს უკვე გავლი აქვს (წინა სემესტრებში/ტრიმესტრებში) ახალი სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო კურსი/კურსები და არ საჭიროებს მათ ხელმეორედ გავლას.
- ბ) წინამდებარე დოკუმენტის 2.4 ან 3.17 პუნქტებით დადგენილი რეიტინგებში მონაწილეობა ან/და რექტორის ბრძანებით დადგენილი სხვა დამატებითი პირობების დაკმაყოფილება;
- 12.16. იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე სტუდენს აქვს თანაბარი სარეიტინგო, ქულა სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათების მისაღებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხედველობაში მიიღება კუმულაციური (ყველა ტრიმესტრის სასწავლო კურსების ქულათა ჯამი) რეიტინგი.
- 12.17. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტის დაფინანსების საკითხი რეგულირდება წინამდებარე წესის 12.14 პუნქტით.
- 12.18. სტუდენტი, რომელიც დაარღვევს „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-7 და მე-8 მუხლებს, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების განმავლობაში ვერ მიიღებს სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსების კუთხით შეღავათებს.

თავი VI. სასწავლო პროცესი

13. სწავლების ენა

- 13.1. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენაა ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დასაშვებია ინგლისურენოვანი კომპონენტების გამოყენება.

14. აკადემიური წელი

- 14.1. აკადემიური წლის ხანგრძლივობა, სემესტრების ან/და ტრიმესტრების რაოდენობა და ხანგრძლივობა, არდადეგების ხანგრძლივობა და დასვენების დღეები – აკადემიური კალენდარი – მტკიცდება ყოველ კალენდარულ წელს რექტორის ბრძანებით;
- 14.2. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასწავლო წელი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დგინდება რექტორის ბრძანებით.

15. სტუდენტის დატვირთვა

- 15.1. საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, განისაზღვრება:
- ა) სტუდენტის წლიური დატვირთვა (კრედიტების რაოდენობა);
 - ბ) ერთი ECTS კრედიტის მოცულობა საათებში
 - გ) კრედიტის მისაღებად სტუდენტის დატვირთვა: ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, გამოცდების მომზადება-ჩაბარება, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, კვლევით ნაშრომზე მუშაობა და სხვა.

16. სტუდენტის შეფასების წესი

- 16.1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეფასების სისტემა უშვებს:
- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) მაღიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ
 - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (სასწავლო კურსების შემთხვევაში);
 - მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში).
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ
 - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი (სასწავლო კურსების შემთხვევაში).
 - მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში).
- მოცემული შეფასების სისტემით ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი.
- 16.2. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- 16.3. სასწავლო კურსები უნდა შეფასდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით.
- 16.4. დაუშვებელია სასწავლო კურსებისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
- 16.5. სასწავლო კურსში შეფასება (FX)–ის მიღების შემთხვევაში:
- დამატებითი გამოცდა უნდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

16.6. შეფასების ფორმებში უნდა დაწესდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

16.6.1. შუალედურ შეფასებაში (დასკვნით შეფასებამდე მისაღები ყველა შეფასების მაქსიმუმების ჯამი) უნდა დაწესდეს შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: $MID_{MIN} = MID * 35\%$, სადაც MID_{MIN} -ით აღნიშნულია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ხოლო MID -ით შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა. თუ სტუდენტის შუალედური შეფასება $< MID_{MIN}$ -ზე, მაშინ ის არ დაიშვება დასკვნით შეფასებაზე და მან საგანი უნდა შეისწავლოს ახლიდან.

16.6.2. დასკვნითი შეფასებაში უნდა დაწესდეს შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: $FIN_{MIN} = FIN * 20\%$, სადაც FIN_{MIN} -ით აღნიშნულია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ხოლო FIN -ით დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა. თუ სტუდენტის დასკვნითი შეფასება $< FIN_{MIN}$ -ზე, მაშინ მას ერთჯერადად ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. დამატებით გამოცდაზე გასვლის შემდეგ სასწავლო კურსში FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

16.7. პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა გაიწეროს შეფასების კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმები. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა დადგინდეს შეფასების თითოეული ფორმის და კომპონენტის ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

17. არჩევითი სასწავლო კომპონენტები

17.1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების არსებობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს სასწავლო კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა.

17.2. სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა კონკრეტული სასწავლო კომპონენტისთვის დგინდება რექტორის ინდივიდუალური აქტით.

18. დამატებითი სემესტრი/ტრიმესტრი

18.1. სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო დამატებითი სემესტრების/ტრიმესტრების განმავლობაში.

18.2. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სემესტრული სწავლების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მაქსიმუმ 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრით, ხოლო ტრიმესტრული სწავლების შემთხვევაში მაქსიმუმ 6 (ექვსი) დამატებითი ტრიმესტრით.

თავი VII. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და განსხვავებული სწავლების რეჟიმი

19. განმარტებები

19.1. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები** - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან/და შეზღუდულ შესაძლებლობას (შშმ) სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს.

19.2. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმ)** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

20. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

20.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროცესის დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესს, განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს. ის ეხმარება სხვადასხვა შესაძლებლობის სტუდენტებს, მათ შორის შშმ პირებს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

20.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს ერთგვარ რუკას, რომელიც აერთიანებს იმ სასწავლო კომპონენტებს ან/და აქტივობებს, რომლებშიც სტუდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა რუკის მიხედვით დადგენილი თანმიმდევრობით, სტუდენტისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით.

20.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის შეთანხმება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფაზე, უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული რესურსების გათვალისწინებით. ის საჭიროებს რეგულარულ გადახედვას და ახალი შესაძლებლობების გაჩენისას ცვლილებების შეტანას.

20.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მისი შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პარამეტრებს:

- ა) სტუდენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
- ბ) სტუდენტის საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელ-ფოსტა)
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სასწავლო კომპონენტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზეზი;
- ე) სასწავლო კომპონენტების ან/და სასწავლო აქტივობების გეგმა- გრაფიკი;
- ვ) სტუდენტის შეფასების სათანადო ფორმები და პირობები;
- ზ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადა/ხანგრძლივობა;
- თ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი და მხარდამჭერი პირი/პირები;
- ი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თარიღი;

21. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

21.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს:

- ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შემთხვევაში;
- ბ) ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში;
- გ) გაცვლით პროგრამაში, გარე ან/და შიდა მობილობაში მონაწილეობის შემთხვევაში;
- დ) აკადემიური ჩამორჩენილობის ან სტატუსის აღდგენის დროს;
- ე) საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სასწავლო კომპონენტის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების სურვილის შემთხვევაში და სხვა.

21.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლოა მოხდეს სტუდენტის ინიციატივით, წერილობითი განცხადების საფუძველზე ან/და სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

21.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე და დამტკიცებაზე გადაწყვეტილების მისაღებად უნდა მოხდეს ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება სასწავლო მენეჯერის ან/და

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი და მხარდამჭერი პირი/პირების მიერ, მათ შორის:

- ა) ინდივიდუალური გეგმის შედგენამდე გავლილი სასწავლო კომპონენტები ან/და აქტივობები;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დარჩენილი გასავლელი სასწავლო კომპონენტები ან/და სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დარჩენილი სასწავლო აქტივობები;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამაში ან/და სასწავლო კომპონენტში განხორციელებული ცვლილებები;
- დ) სტუდენტის დროის რესურსი და ა.შ.

21.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსიდან გამომდინარე მის შედგენა/დამტკიცებაში შესაძლოა ჩართული იყოს:

- ა) დეკანი;
- ბ) სკოლის საბჭო;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ე) სასწავლო მენეჯერი;
- ვ) კარიერის დაგეგმვის და განვითარების მენეჯერი;
- ზ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- თ) მოწვეული ექსპერტები და კონსულტანტები;
- ი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი და მხარდამჭერი პირი/პირები.

21.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში აუცილებელია მონაწილეობას იღებდეს ის სტუდენტი, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

21.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სემესტრის/ტრიმესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

21.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი წლიური მაქსიმალური დატვირთვის (არაუმეტეს 75 ECTS კრედიტი) გათვალისწინება.

22. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების შესაბამისი ადაპტირებული გარემო

22.1. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად წინასწარ უნდა მოხდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიერ აღნიშნული საჭიროების დაფიქსირება შესაბამისი ფორმით (დანართი 1).

22.2. უნივერსიტეტი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ 22.1 პუნქტში ფიქსირებული ინფორმაციის შეუზღუდავად, თავისუფლად მოწოდების შესაძლებლობას. ასევე, ხელს შეუწყობს აპლიკანტთა განაცხადების მიღების, ინტერვიუების, ინდივიდუალური შეხვედრების დროს აღნიშნული ინფორმაციის დაფიქსირების შესაძლებლობას. სტუდენტის მხრიდან აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტისათვის შეუტყობინებლობა ათავისუფლებს უნივერსიტეტს შესაბამისი ვალდებულებისაგან, უზრუნველყოს სტუდენტისათვის სათანადო გარემოს შექმნა.

22.3. უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მაქსიმალურად უზრუნველყოს ის სათანადო მხარდაჭერით. მოახდინოს სხვა პირების მიერ სტუდენტის დისკრიმინაციის პრევენცია.

22.4. სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხორციელებისთვის ადაპტირებული გარემოს სახით შეიძლება შეთავაზებულ იქნას:

- ა) აუდიო ჩანაწერები/დოკუმენტები
- ბ) ადაპტირებული ჩანაწერები/დოკუმენტები
- გ) სენსორული დოკუმენტები და გრაფიკა

- დ) ბარიერების მოხსნა, სივრცეში ორიენტაციისთვის საჭირო ნიშნები/საგნები
 - ე) სინქრონული თარგმანი ან/ და სინქრონული ჩანაწერები
 - ვ) სალექციო ჩანაწერები (კონსპექტები)
 - ზ) ელექტრონული ვიდეო დოკუმენტები და სხვა
- 22.5. სათანადო ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართულობით, ამზადებს სასწავლო კურსების მოდიფიცირებულ ვერსიებს და იყენებს სწავლა/სწავლების განსხვავებულ მიდგომებს. ამასთან, განსხვავება უნდა იყოს მინიმალური, რომ სწავლის შედეგი მიღწეულ იქნას იმავე ხარისხით, რაც სტანდარტული შემთხვევებისთვის არის განსაზღვრული.
- 22.6. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის საკონტაქტო პირების გამოყოფას, რომლებიც დაეხმარებიან მათ აკადემიური ან/და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში.
- 23. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სწავლების რეჟიმი და გადახდის წესი**
- 23.1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისგან განსხვავებულ სწავლების რეჟიმად ითვლება სწავლება, როდესაც სტუდენტი პირადი მიზეზით (სტატუსის შეჩერება) ან/და აკადემიური მოსწრების გამო ჩამორჩება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმას და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სასწავლო გეგმაში შევა ცვლილებები;
- 23.2. წინამდებარე წესის 23.1. პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო გეგმაში ცვლილებად ჩაითვლება:
- ა) სასწავლო კურსების კრედიტების გაზრდა/შემცირება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღება/დამატება;
- 23.3. განსხვავებული სწავლების რეჟიმის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია:
- ა) დაასრულოს ის საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ჩაირიცხა;
 - ბ) წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული კრედიტების ტრანსფერის მიზნით.
- 23.4. საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღების და ამ სასწავლო კურსზე 22.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს ვალდებულებას განახორციელოს სასწავლო კურსი კონკრეტული სტუდენტის/სტუდენტებისთვის, მათი რაოდენობიდან გამომდინარე სილაბუსის შესაბამისი მოდიფიკაციით.
- 23.5. სტუდენტის მიერ 23.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არჩევანის შემთხვევაში, სტუდენტის მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის პროგრამით დადგენილ სასწავლო გეგმად განიხილება ის გეგმა, რომლის ფარგლებშიც მას უნდა გაეგრძელებინა სწავლა (ჩვეულებრივ სწავლის რეჟიმში);
- 23.6. სტუდენტის მიერ 23.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არჩევანის შემთხვევაში, კრედიტების ტრანსფერი უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესის 23.9 პუნქტით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით. სტუდენტის მიმდინარე სემესტრის/ტრიმესტრის პროგრამით დადგენილ სასწავლო გეგმად განიხილება მოდიფიცირებული პროგრამის მიმდინარე სასწავლო გეგმა;
- 23.7. სტუდენტის სწავლის გადასახადი გამოითვლება წინამდებარე წესის 12.9-12.12 და 23.4-23.5 პუნქტების გათვალისწინებით. კერძოდ, სტუდენტის მიერ რეგისტრირებული სასწავლო კურსების შედარება უნდა მოხდეს 23.5. და 23.6. პუნქტებით დადგენილ სასწავლო გეგმებთან.

თავი VIII. კრედიტების აღიარება, კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი

- 24. სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ან/და სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარება**
- 24.1. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 24.2. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.
- 24.3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსებთან შეიძლება დადგინდეს შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
- 24.4. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით.
- 24.5. კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობაში, ხოლო იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად კრედიტების გაანგარიშება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ მუხლის 24.13 პუნქტის შესაბამისად.
- 24.6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის და კრედიტების აღიარების მიზნით განიხილება სტუდენტის სასწავლო ბარათი/ნიშნების ფურცლი.
- 24.7. დასაშვებია სასწავლო ბარათში/ნიშნების ფურცელში ერთი და იგივე დასახელების, შინაარსისა და მოცულობის (ECTS კრედიტები) სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების უპირობო აღიარება.
- 24.8. სხვადასხვა დასახელების, მაგრამ შინაარსობრივად მსგავს სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლითა და სწავლების შედეგების ანალიზით.
- 24.9. სასწავლო კურსების მოცულობის სხვაობის შემთხვევაში კრედიტის აღიარება უნდა მოხდეს სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით (მაგ.: თუ სტუდენტის მიერ პირველად საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის ანალოგიურ სასწავლო კურსს მიმღებ პროგრამაში ნაკლები კრედიტი აქვს მინიჭებული, მაშინ აღიარებული იქნება პირველად საგანმანათლებლო პროგრამაში მოპოვებული კრედიტი, ხოლო თუ მიმღებ პროგრამაში ანალოგიურ სასწავლო კურსს მეტი კრედიტი აქვს მინიჭებული, შესაძლებელია აღიარებულ იქნას მიმღები პროგრამის კრედიტის ოდენობით, თუ შესწავლილი საგნის სწავლის შედეგები იძლევა ამის შესაძლებლობას).
- 24.10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების შემთხვევაში დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით.
- 24.11. თუ ე.წ. თავისუფალი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, მაშინ ამ კურსებიდან შეირჩევა სტუდენტისთვის სასურველი სასწავლო კურსები.
- 24.12. სტუდენტის მიერ შესწავლილი ის სასწავლო კურსები, რომელთა აღიარებაც არ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ფარგლებში, დამატებითი კრედიტების სახით უნდა აისახოს სტუდენტის დანართში.
- 24.13. თუ სტუდენტის პირველად სასწავლებელს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა სასწავლებლის მიერ საკრედიტო სისტემის სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება

სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში და სასწავლო კურსის აღწერილობა, სწავლის შედეგების მითითებით. განხილვის შედეგად სპეციალური კომისია/სკოლის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტის რაოდენობის შესახებ.

24.14. კრედიტების აღიარების საკითხი განხილება:

ა) სტუდენტის განცხადების საფუძველზე, როდესაც ის სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში იცვლის საგანმანათლებლო პროგრამას;

ბ) სტუდენტის განცხადების საფუძველზე, როდესაც ის ჩართულია მობილობის პროცესში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოდის სასწავლო უნივერსიტეტში;

გ) სტუდენტის განცხადების საფუძველზე, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

24.15. კრედიტების აღიარების საკითხს, წინამდებარე წესის მოთხოვნების დაცვით, განიხილავს სპეციალური კომისია/სკოლის საბჭო. კომისიის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს.

24.16. დაინტერესებული მხარის თანხმობის შემთხვევაში კრედიტების აღიარება ფორმდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

25. კვალიფიკაციის მინიჭება

25.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.

25.2. კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს სკოლის საბჭო.

26. დიპლომი

26.1. კვალიფიკაციას ადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული დიპლომი.

26.2. სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის გაცემამდე სტუდენტი ვალდებულია დაფაროს სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ საბიბლიოთეკო, ფინანსური ან/და სხვა სახის მატერიალური დავალიანება.

26.3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი IX. დასკვნითი დებულებანი

27. დასკვნითი დებულებანი

27.1. ეს წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

ანკეტა

გთხოვთ, შეავსოთ ფორმა, სადაც მიუთითებთ იმ მიმართულებებს, რომელშიც შეიძლება შეგექმნათ სირთულეების სწავლის პროცესში.
 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

გაქვთ თუ არა რაიმე სახის სირთულეები ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით?	გთხოვთ მიუთითეთ კონკრეტული სირთულეები
შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობები/მომძრაობის დარღვევები	
მხედველობის პრობლემები	
სმენის პრობლემები	
ქრონიკული დაავადებები ან/და ფსიქიკური დაავადებები, დარღვევები	
<p>კონკრეტული სწავლის დარღვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კოგნიტური (მაგ. ინფორმაციის გააზრება, ინფორმაციის დამუშავება, დამახსოვრება, დეტალებზე ორიენტირებულობა, პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება) • ვერბალური კომუნიკაცია (მაგ. კითხვების დასმა, ინფორმაციის გადმოცემა, სხვებისთვის ასხნა/ინსტრუქციების მიცემა) • წერილობითი კომუნიკაცია (მაგ. ჩანაწერების გაკეთება, ცხადი ინსტრუქციების გაწერა) • არავერბალური კომუნიკაცია (მაგ. ინტერპერსონალური მგრძნობელობა, თვალით კონტაქტი, არავერბალური სიგნალების ინტერპრეტაცია) 	

აპლიკანტის/სტუდენტის სახელი, გვარი _____

აპლიკანტის/სტუდენტის საკონტაქტო ინფორმაცია _____

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება _____

შევსების თარიღი _____